

არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება

**მმართველი პარტიის მიერ განსხვავებული
აზრის მიუღებლობამ და კრიტიკაზე
რეაგირების ფორმებმა საგანგაშო ზღვარს
მიაღწია**

მმართველი პარტიის მიერ განსხვავებული აზრის მიუღებლობამ და კრიტიკაზე რეაგირების ფორმებმა საგანგაშო ზღვარს მიაღწია

არასამთავრობო ორგანიზაციები მხარდაჭერას ვუცხადებთ დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელ თეა გოდოლაძეს და ვგმობთ მის წინააღმდეგ მიმართულ ცილისწამების კამპანიას.

თეა გოდოლაძე მისი პროფესიული საქმიანობის, არაერთი წინააღმდეგობრივი პროექტის და საჯარო უწყებების არასწორი ქმედებებისა თუ უმოქმედობის შესახებ არაერთგზის გამოთქმული კრიტიკული მოსაზრებების გამო, სრულიად უღირსი კამპანიის სამიზნე გახდა.

22 აგვისტოს დილას ტელეკომპანია რუსთავი 2-მა დამახინჯებულად და ცალმხრივად გაავრცელა თეა გოდოლაძის პირად ცხოვრებასთან [დაკავშირებული ინფორმაცია](#). იმავე დღეს და იმავე მაუწყებლის ეთერში [D](#) ოცნების დეპუტატმა აღნიშნული

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



უსაფუძვლო ბრალდებები **გამთიყვნა** თეა გოდოლაძის პროფესიული საქმიანობის და ღირსების შესაბამისად. თეა გოდოლაძის საინააღმდეგო კამპანია სატელევიზიო სივრცის მიღმა, სოციალურ ქსელებში გააგრძელეს **ᲑᲠᲠᲠᲠ** ოცნებასთან **□** აფილირებულმა პირებმა. მის მიმართ გამოთქმული ბრალდების აბსურდულობის დასამტკიცებლად კი თეა გოდოლაძე იძულებული გახდა საჯაროდ ესაუბრა უკიდურესად პირადულ საკითხებზე.

აღსანიშნავია, რომ ეს არ არის მმართველი პარტიის წევრების მხრიდან თეა გოდოლაძეზე სიტყვიერი თავდასხმის და მისი რეპუტაციის შეზღავნების პირველი მცდელობა. მათ შორის, შოვის ტრაგედიის შემდეგ, თეა გოდოლაძე იყო ერთ-ერთ ექსპერტი, რომელსაც პარლამენტის თავმჯდომარე **თაგს-დაესხა** შოვის სტიქიაზე დასკვნის ეჭვქვეშ დაყენების გამო. თეა გოდოლაძის კრიტიკამ და საჯარო განცხადებებმა ხელისუფლების მხრიდან გარემოსდაცვითი, ეკოლოგიური და განაშენების რეგულირების საკითხების უგულვებელყოფის შესახებ საზოგადოებრივი განხილვების დღის წესრიგში მოაქცია არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომლებიც იმსახურებენ საზოგადოების ყურადღებას, მაგრამ რომლებზე ყურადღების გამახვილება მმართველ პარტიას არ სურს.

ამკარაა, რომ **ᲠᲠᲠᲠᲠᲠ** ოცნება A გამოთქმულ კრიტიკაზე საკუთარი პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას და ლეგიტიმურ კითხვებზე პასუხის გაცემის ნაცვლად კითხვების ავტორების დისკრედიტაციას, მათზე ბენოლის მოხდენას და გაჩუმებას ცდილობს.

მიგვაჩნია, რომ მთავრობისა და მმართველი პარტიის საქმიანობის კრიტიკაზე ქართული ოცნების რეაგირება და არასასურველი ადამიანების დისკრედიტაციის კამპანიები სახიფათო ფორმებს იღებს. აღნიშნული ზიანს აყენებს არამხოლოდ მმართველი პარტიის მიერ სამიზნედ შერჩეულ ადამიანებს, არამედ მთლიანად ქვეყანას; ეწინააღმდეგება ყველაზე ბაზისურ ეთიკურ ნორმებს და ძირს უთხრის ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პერსპექტივას.

ხელმომწერი ორგანიზაციები:

- მწვანე ალტერნატივა
- საქართველოს სასამართლოს გუშაგი
- ღია საზოგადოება საქართველო (OSGF)
- ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC)
- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
- სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED)
- საფარი
- ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG)

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



- უფლებები საქართველო
- სოციალური სამართლიანობის ცენტრი
- წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი - GCRT
- საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS)